Worknet

n 26/1071 PX 4770/1

Worknet.gov.ge-ზე – რეგისტრაცია იწყება 2013 წლის დეკემბრიდან და გრძელდება უვადოდ.

- 2013 წლის დეკემბრიდან შესაძლებელია პროფესიონალი/სამუშაოს მაძიებელის როლით მოქმედება.
- დამსაქმებელის როლით მოქმედება შესაძლებელია 2014 წლის აპრილიდან.
- ვაკანსიების გამოქვეყნება შესაძლებელია 2014 წლის აპრილიდან.
- განათლების მიმწოდებლის როლით მოქმედება შესაძლებელია 2014 წლის მაისიდან.
- რეკრუიტერის როლით მოქმედება შესაძლებელია 2014 წლის სექტემბრიდან.

Worknet.gov.ge-ს ანალიტიკური ნაწილი ჩაირთვება 2014 წლის დეკემბრიდან.

Worknet.gov.ge-ს მომხმარებელს მომსახურების მიღება შეუძლია, პროფილის გვერდის შევსების შემდეგ. მომხმარებელს თავად შეუძლია პროფილის ცვლილება, „დაძინება" და გააქტიურება ნებისმიერ დროს.

მომხმარებელი თავად ღებულობს გადაწყვეტილებას მისი ინფორმაციის რა ნაწილი გახდეს საჯარო, გარდა პერსონალური ინფორმაციისა. ეს ინფორმაცია მიუწვდომელია ნებისმიერი მომხმარებლისათვის და მხოლოდ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ დამუშავდება სტატისტიკური და ანალიტიკური მიზნებისათვის.

Worknet.gov.ge-ს უპირატესობა მსგავს პორტალებთან შედარებით: მოიცავს ქვეყანაში არსებულ ყველა დასახლებულ პუნქტს; მომხმარებელი თავად მართავს პორტალის ქცევას სურვილიდან გამომდინარე; მკაცრადაა დაცული პირადი ინფორმაციის გასაჯაროება; შრომის ბაზარზე არსებულ სუბიექტებს აერთიანებს ერთ სივრცეში; მომხმარებლებს შორის ურთიერთობა თავისუფალია მესამე პირის ჩარევისგან; წარმოადგენს რეალურ დროში არსებული სტატისტიკური მონაცემების გენერატორს; პორტალი თვითსწავლადი სისტემაა – აგროვებს, ინახავს და ამუშავებს ცოდნას.

Worknet.gov.ge ონლაინ მოხმარების პროდუქტია და მნიშვნელოვანია რეგისტრაციის თითოეული მსურველის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ვისაც გაქვთ ონლაინ პროდუქტთან მუშაობის პრობლემები, ვერ გეხმარებათ ახლობელი და/ან არ გაქვთ ინტერნეტთან წვდომა სახელმწიფო დაგეხმარებათ. სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულებში მოგემსახურებათ სპეციალური კადრი, დახმარების გაწევა შეუძლიათ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსაც.

გისურვებთ წარმატებებს...

ჩაერთე!

1505

ეროვნული ბიბლიოთეკა

Worknet

ელექტრონული სივრცე

რომელიც შეიქმნა სახელმწიფოს გადაწყვეტილებით და ხელშეწყობით

პორტალი

სადაც უნდა დარეგისტრირდეთ

პროგრამა

რომელიც გაძლევთ განვითარების შესაძლებლობას და გაწვდით თქვენთვის საინტერესო ინფორმაციას.

WORKNET.GOV.GE

საქართველოს მრეწველობა, ტექნოლოგიებისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ეროვნული ბიბლიოთეკის საარქივო

Worknet

Worknet.gov.ge პერსონალურად თქვენთვის – თუ ხართ პროფესიონალი და გსურთ მუდმივად ადევნოთ თვალყური პროფესიულ სფეროში მიმდინარე სიახლეებს, მოიძიოთ განვითარების შესაძლებლობები – დარეგისტრირდით. თუკი **ეძებთ სამსახურს**, გსურთ დასაქმდეთ თქვენთვის საინტერესო სფეროში და გაინტერესებთ რა ვაკანსიებია ქვეყანაში, გაერთიანდით worknet-ში, გააგებინეთ თქვენი შესაძლებლობები და სურვილები დამსაქმებლებს.



Worknet.gov.ge დამსაქმებლებისთვის – თქვენ შეგიძლიათ შექმნათ და მართოთ თქვენი გვერდი worknet-ში. ვაკანსია გაქვთ? მოიძიეთ სასურველი ადამიანური რესურსი ქვეყნის მასშტაბით. მოიპოვეთ სტატისტიკური მონაცემები შრომის ბაზრის შესახებ. მონაწილეობა მიიღეთ პროფესიული კომპეტენციებისა და უნარების ფორმირებაში. შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად გადამზადებული ადამიანური რესურსი გამოიყენეთ ბიზნესის წარმატებისთვის.



რეკრუიტერებისთვის – Worknet.gov.ge გაძლევთ შესაძლებლობას შექმნათ და მართოთ საკუთარი გვერდი; მოიძიოთ და გაანალიზოთ ქვეყნის მასშტაბით არსებული ინფორმაცია სამუშაო ძალის შესახებ სხვადასხვა მახასიათებლების მიხედვით, განავითაროთ და შესთავაზოთ მომსახურება დაინტერესებულ მომხმარებელს.

განათლება დასაქმებისთვის – worknet.gov.ge მნიშვნელოვანია განათლების პროვაიდერებისთვისაც. თუ თქვენ გსურთ გაეცნოთ შრომის ბაზრის მოთხოვნებს კონკრეტული პროფესიებისა და პოზიციების მიხედვით, შეიმუშაოთ და შესთავაზოთ საგანმანათლებლო პროგრამა თუ ტრენინგი დაინტერესებულ პირებს, შექმენით საკუთარი გვერდი პორტალზე.

Worknet.gov.ge-ით სარგებლობის ძირითადი პრინციპები: კანონმდებლობასთან შესაბამისობაში, პირადი ინფორმაციის დაცვის სრული გარანტიები. სისტემაში ჩართულ მომხმარებლებს ეძლევათ გადაწყვეტილებების მიღების თავისუფალი არჩევანი, გამორიცხულია მომხმარებლების ურთიერთობებში მესამე პირის ჩარევა, სისტემის მომსახურება არ არის შეზღუდული დროის რაიმე პერიოდით.

Worknet.gov.ge-ის მომსახურება უფასოა ყველა მომხმარებლისთვის.

Worknet.gov.ge-ზე – რეგისტრაცია შესაძლებელია ონლაინ რეჟიმში, ნებისმიერი მსურველისთვის, რომელსაც აქვს 11-ნიშნა საიდენტიფიკაციო კოდი და მიღწეულია შრომითი ქმედუნარიანობის ასაკს. შრომითი ქმედუნარიანობის ასაკის არმქონე პირს მომსახურებით სარგებლობა შეეძლება მხოლოდ სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულში მისი კანონიერი წარმომადგენლის ან მზრუნველობის/მეურვეობის ორგანოს თანხმობის წარდგენის შემდეგ.

Worknet.gov.ge-ზე რეგისტრაციისას პირი თავად ირჩევს და ნებისმიერ დროს ცვლის სისტემით სარგებლობის უსაფრთხოების პარამეტრებს (პაროლს).

Worknet.gov.ge-ზე რეგისტრაციის წარმატებით დასრულებისათვის სავალდებულოა რეგისტრაციის მსურველი პირი ელექტრონულად დაეთანხმოს რეგისტრაციის პირობებს (ინფორმირებული თანხმობა).

Worknet.gov.ge-ზე ერთხელ რეგისტრირებული მომხმარებელი ვეღარ შეძლებს განმეორებით რეგისტრაციას წინა რეგისტრაციის გაუქმების გარეშე.

Worknet.gov.ge-ზე რეგისტრირებული მომხმარებელი თავად ირჩევს რომელი როლით სურს მომსახურების მიღება. როლების არჩევის შესაძლებლობა გააქტიურდება 2014 წლის აპრილიდან.